



გუბათა და გლეხთა მთავრობის

# პანონია და განკარგულებათა პრეზული

სახალხო კომისართა საგაოს და მყოფების საგაოს  
სამართვის გენერალობის გამოცხადა

1930 წ. ეკილის 20.

№ 7

ნაცილი კირკელი

შ ი ნ ა ა რ ს ი:

სრულიად საქართველოს საბჭოთა შე-V მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 ხელის დადგენილებანი.

57. საქართველოს სსრ-ის სახალხო მეურნეობის 1929-30 წ. საკონტროლო ციფრების შესახებ.

58. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიებ შუა მი-ლებულ უმნიშვნელობანის საკანონმდებლო აქტების დამტკიცების შესახებ.

59. საქართველოს სსრ-ის კოდექსების იმ ცვლილებისა და დამატების დამტკიცების შესახებ, რაც მიღებულ იქნა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიებ შუა.

60. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის რეორგანიზაციის შესახებ.

61. საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის რეორგანიზაციის შესახებ.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

62. თანამდებობის პირთა სადისცეპლინო პასუხისმგებლობის დებულების გაუქმების შესახებ.

63. სახელმწიფო ნოტარიუსის დებულების შექმნების შესახებ.

64. სასოფლო სამკურნალო მოქმედების შესახებ.

65. სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 260 მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

66. „სკოლის ასაკამდე აღზრდის ლაშერობის ცენტრალური შტაბის“ სამდლიურის ჩატარების შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

67. ნატახტარის წყალსადენის მშენებელი კომიტეტის დებულების მე-15 და 25 მუხლების შეცვლის შესახებ.

68. კინო-ტეატრების სადგომების საიჯვარო საციფიდლის რაოდენობის შესახებ.

69. „1930 წლის გაზაფხულზე მოსალოდნელ წყალდიდობასთან და მის შედეგებთან ბრძოლის ორინიშიერათა თაობაზე“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. დეკემბრის 31-ის დადგენილების 1-ლი მუხლის შეცვლის შესახებ.

# სრულიად საქართველოს საგზოთა გე-V მოწვევის ცენტრალური პრამასრულებელი პომიტაცის გე-2 სესიის დადგენილებანი.

57. დ ა დ გ ვ ი ლ ე ბ ა ვ . ა . ქ .

(მე-V მოწვევის მე-2 სესიის)

საქართველოს სსრ-ის სახალხო მეურნეობის 1929-30 წ. საკონტროლო  
ციფრების შესახებ.

მოისმინა რა საქართველოს სსრ მთავრობის თავმჯდომარის ამხ. ფ. მახა-  
რაძის მოხსენება საქართველოს სსრ-ის სახალხო მეურნეობის 1929-30 წლების  
საკონტროლო ციფრების შესახებ სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-V მოწ-  
ვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესია ადგენს:

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-V მოწვევის ცენტრალური აღმასრუ-  
ლებელი კომიტეტის მეორე სესია აღნიშნავს, რომ გასული წელიწადი, ე. ი.  
სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის პირველი წელიწადი—  
დამთავრდა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და სასოფლო მეურნეობის სო-  
ციალისტურად გარდაქმნის რაოდენობითი და თვისებითი მაჩვენებლების გადა-  
კარბებით საგეგმო განხრახულებებთან შედარებით.

მსხვილი მრეწველობის პროდუქცია 1928-29 წელს გადიდდა  $37,7\%$ -ით  
(სათანადო წლის ფასების მიხედვით) 1927-28 წელთან შედარებით, როდესაც ეს  
გადიდება  $22,8\%$ -ს უდრიდა. იმ დარგების პროდუქციის ზრდა, რომლებიც უფი-  
რატესად საწარმოო საშუალებას და იარაღს ამზადებნ, უფრო ინტენსიური  
იყო— $68,2\%$ -ით (1927-28 წ. შედარებით— $12,1\%$ ), ვიდრე ფართო მოხმარე-  
ბის საგნების დამაზადებელი დარგების პროდუქცია  $18,7\%$ -ით ( $30,5\%$ -თან  
შედარებით). საწარმოო პროგრამის შესრულება მოელი ცენზიანი მრეწველობის  
სუეროში გამოიხატა  $94,7\%$ -ით, ხოლო საქართველოს სახალხო მეურნეობის  
უმაღლესი საბჭოს მრეწველობის ხაზით— $3,4\%$ -ის გადაჭრებით. ელექტრო-  
ენერგიის დამუშავება  $29,9$  მილიონ კილოვატ სათიდან გადიდდა  $42,9$  მილიონ  
კილოვატ სათამდე, ე. ი.— $43,5\%$ -ით.

სახალხო მეურნეობის ყველა ძირითად დარგებზე დაბანდებული კაპიტა-  
ლების საერთო თანხა— $46,9$  მილ. მანეთიდან გაიზარდა  $63,5$  მილ. მანე-  
თამდე, ე. ი.  $36,4\%$ -ით, ამ რიცხვში: მრეწველობაზე დაბანდებული კაპიტალები  
გადიდდა  $49,9\%$ -ით, ელექტროენერგებლობაზე— $42,6\%$ -ით, სოფლის მეურნეო-  
ბაზე— $31,3\%$ -ით, გზათა მშენებლობაზე— $63,2\%$ -ით.

მრეწველობის ძლიერ ზრდას თანა სდევდა ფართოდ გაშლილი სოციალის-  
ტური შეჯიბრება; ამასთანავე 7 საათიან სამუშაო დღეზე გადაყვანილ იქნა  
1.800 მუშამდებარება; მრომის ნაყოფიერებაზ იმატა  $16,8\%$ -ით, ხოლო სამუშაო ხელ-  
ფასმა— $5,2\%$ -ით (აღებულია მსხვილი მრეწველობის მხოლოდ  $50\%$ -ი); საქმეში

ჩაბმულ იქნენ მუშათა ოვალსაჩინო კატრები (4,3 ათასამდე); საფამრიკო-საქართვო სამრეწველო ნაკეთობის თვითლირებულებამ იყლო 7,2%/-ით.

ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპის საფუძველზე გასულ წელს სოფლის მეურნეობის განვითარებაში მოხდა ძირითადი გარდატეხა, რაც გამოიხატა კოლექტიურ მეურნეობათა ძლიერი მშენებლობით და ღარიბ და საშუალო გლეხთა ფართო მასების სოფლის სოციალისტურ გარდაქმნის საქმეში ჩაბმით. კოლექტივის განვითარებულ მეურნეობათა რიცხვი 6.536-დან 15.643-მდე გადიდდა, ე. ი. გაიზარდა 139,4%/-ით, რაც განზრახულ გეგმას 32%/-ით აღემატება.

მიუხედავათ არახელსაყრელი მეტოროლოგიური პირობებისა და სოფლის მოსახლეობის ზედაფენების წინააღმდეგობისა, კონტრაქტაციის გაფართოებამ და ღარიბ და საშუალო გლეხთა ფანების უზრუნველყოფამ საჭარმოო იარაღით და თესლით საშუალება მოგვცა მარცვლეული კულტურებით ნათესი სივრცე გაგვი-დიდებინა 5,9%/-ით.

მუშათა კლასის ძეტიობის ზრდის წყალობით, რაც სოციალისტური შეჯიბრების ფართო გაშლით და შეუწყვეტელ წარმოებაზე გადასცლით გამოიხატა, შესაძლებელი გახდა 1929-30 წლისთვის დაგვესახა დიდი რაოდენობითი და თვისებითი ამოცანები სახალხო მეურნეობის სფეროში.

აღნიშვნავს რა, რომ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ წარმოდგენილი სახალხო მეურნეობის 1929-30 წ. საქონტროლო ციფრები საესებით გამოხატავს ხუთწლიანი გეგმის მთავარ გეზთ და უზრუნველყოფს არა მარტო ამ გეგმის აღსრულებას, არამედ თვალსაჩინო გადაჭარბებასაც, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესია ადგენს:

### მრეწველობის და ელექტროფიკაციის დარგში.

1. გადიდებულ იქნეს საქართველოს სსრ მთელი გეგმიანი მრეწველობის საერთო პროდუქცია 93,6 მილ. მანეთიდან 144,1 მილიონ მანეთამდე 26-27 წ. ფასებით, ან 53,9%/-ით, მათ შორის: საჭარმოო საშუალებების მწარმოებელ დარგების—63,1%/-ით და სამომხმარებლო საშუალებებისა—44,7%/-ით, მუშების რიცხვისა—25,2%/-ით საერთო ზრდასთან ერთად.

2. საქართველოს სმუს გეგმიანი მრეწველობის პროდუქციის ზრდა განისაზღვროს 62 მილ. მანეთიდან 99,3 მილ. მანეთამდე 26-27 წ. ფასებით, ან 60,1%/-ით, იმ პირობებში, რომ მუშების ზრდამ მიაღწიოს 26,6%/-ს; ჯგ. „ა“ მიხედვით პროდუქციის ზრდა მიღებულ იქნეს 62,2%/-ით, ხოლო ჯგ. „ბ“ მიხედვით—52,1%/-ით.

3. კერძოდ, უზრუნველყოფილ იქნეს 1.100 ათ. ტონ. მარგანეცის გარეცხა და 180 ათ. ტონ. ჩვეულებრივი მაღანის ამოლება; ნატეხი ბარიტის 17 ათ. ტონ. და დაფვეილი 12 ათასი ტონ.; 140 ათასი ტონ. ქვანიხშირის ამოლება და ელექტროენერგიის წარმოების ზრდა 64,7 მილ. კვტ. საათი; ხის დამუშავებისა და ივურ-კრამიტის მრეწველობაში: 190 ათ. კუბ. მეტრ. დახერხილი მასალა, 1.024 ათ. ტკების კომპლექტი, 160 ათ. ვენური სკამი, 43 მილ. ცალი საშენი აგური, 6,4 მილ. ცალი კრამიტი და 5,0 ათ. ტონ. სახურავი ფიქალი; აბრეშუმის მრეწველობაში: 136,9 ტონ. გრეეი, 20 ტონნა აბრეშუმის გრეხი-

ლოვანი ქსოვილი, 470 ათ. მეტრ. აბრეშუმის ქსოვილი, 5.688 ათ. მან. სამკურადებლობის გალო მრეწველობის საერთო პროდუქცია, გემო-კვებისა—37,6 მილ. მან., მინერალურ წყლების—9 მილ. ლიტრიანი ბოთლი და 4 მილ. ცალი  $\frac{1}{2}$  ლიტრიანი.

4. მსხვილ გეგმიან მრეწველობაში შრომის ნაყოფიერება გადიდებულ იქნეს 24,0% -ით, მუშის ნომინალური ხელფასი 9% -ით, საქართველო-საფასავი თვითლირებულება შემცირებულ იქნეს 11% -ით, ხოლო მშენებლობის ლირებულება 14% -ით.

5. საქართველო-საფასავი თვითლირებულობის 11% -ით დაკლების განსაკუთრებულ მნიშვნელობისა და 1928-29 წელს თვითლირებულობის 8% -ით შემცირების შესარულებლობის გამო, დაევალოს სმუს და ყველა სამრეწველო შენაერთს ქარხნებითურთ დაუყოვნებლივ განსაზღვრონ კონკრეტული დავალებანი ცალკეული საწარმოო ერთეულების თვითლირებულების შესამღირებლად (ქარხანა, ამქარი, განყოფილება და სხვ.).

6. აღნიშნულ იქნეს, რომ 28-29 წელს ადგილი ჰქონდა პროდუქციის ხარისხის გაუარესების შემთხვევებს, რის გამოც დაევალოს მრეწველობის ყველა ორგანიზაციას და საწარმოს მიიღონ გადამუშავეტი ლონისძიება პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის და მიენდოს სმუს და მ/გ. ინსპექციის სახალხო კომისარიატს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამ დავალების შესარულებას, მშრომელთა და მომხმარებელთა ფართო მასების,—უმთავრესად პროდუქავშირების და კოპერაციის,—საქმეში ჩამდით. ამასთანავე პროდუქციის ხარისხის გაუარესებაში დამაზავე პირნი, თანახმად სსრკ-ის ცაკისა და სახეომსაბჭოს 1929 წ. ნოემბრის 23-ს დადგრნილებისა, მიცუმულ უნდა იქნენ პასუხისმგებაში სისხლის სამართლის წესით.

7. გადაყანილ იქნეს განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე მთელი მრეწველობის 51% / მანც, ხოლო სმუს ხაზით—75% / და შევიდ საათიან სამუშაო დღეზე—10.000 კაცამდე.

8. მთელი დაქირავებული პერსონალის სამუშაო ხელფასი გადიდებულ იქნეს საშუალო 7,4% -ით, მათ შორის სამრეწველო მუშებისა—9% -ით.

უმუშევრობასთან ბრძოლისათვის საკირო თანხები გათვალისწინებულ იქნეს 420,6 ათ. მან. რაოდენობით, ხოლო შრომის დაცვისათვის—823 ათ. მან.

9. სამთო და სამთო-საქართველო მრეწველობის სფეროში ახალი ობიექტების გამორკვებისათვის და ჩვენი ქვეყნის შემდგომი ინდუსტრიალიზაციისათვის—საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა 1929-30 წელს დაჩქარებულ იქნეს საგეოლოგო-საძიებლო სამუშაოთა წარმოება.

#### სოფლის მეურნეობის დარგში.

10. 1929-30 წ. ყველა კულტურის სათესი სივრცე გადიდებულ იქნეს 9,1% -ით, აქედან: მარცვლეული კულტურები 4,5% -ით. ტეხნიკურ კულტურათა განვითარების განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, რაც წარმოადგენს საკავშირო და ადგილობრივი მრეწველობის ბაზისს, გადიდებულ იქნეს ამ ნათესების სივრცე 84,3% -ით, მწერივებს შორითი ნათესითურთ 98,3, ხოლო საკვებ მასალათა ნათესის სივრცე 350% -ით. მარცვლეულთა მოსავლიანობის გადიდება გა-

თვალისწინებულ იქნეს შემდეგი სახით: შემოდგომისა— $3\%$ /—ით, გაზაფხულისა— $8\%$ /—ით, თამბაქოსი— $15\%$ /—ით და ბამბისა— $10\%$ /—ით.

11. სოფლის მეურნეობაში მესაქონლეობის ბაზისის საგრძნობლად ჩამორჩენის გამო, მიღებულ იქნეს, როგორც დავალება, მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ნაბირთა გადიდება  $4,2\%$ /—ით, მათ შორის ძრობებისა— $6\%$ /—ით და ცხვრის ფარათა გადიდება  $12,9\%$ /—ით და ლორების ჯოგთა— $10\%$ /—ით.

12. მიმდინარე წელს განმტკიცებულ და გაფარართოებულ უნდა იქნეს ის მიღწევები, რაც სოფლის მეურნეობის განსაზოგადოებულ სეკტორში 1928-29 წ. გვერდა, და უზრუნველყოფილ იქნეს მისი შემდგომი განვითარება. ამისდამიხედვით საჭიროდ იქნეს ცნობილი:

ა) სამტრედიის აგრო-აგროინდუსტრიალური კომპანიატის (სუბტროპიკულ კულტურათა და მეცხველეობის მთელ რიგ დარგთა წარმოებით) მშენებლობის დაწეარება;

ბ) კოლექტივიზებულ მეურნეობათა რიცხვის 200 ათასამდე აწევა და მისი გადიდება, 1928/29 წლთან შედარებით  $1179\%$ /—ით; ხოლო ნათესების სიერცე მიღწეულ იქნეს გაზაფხულზე 255 ათას ჰექტარამდე და გადიდებეს  $130\%$ /—ით;

გ) დაწყებულ იქნეს სამანქანო-სტრაქტორი სადგურების მოწყობა იმ ვარაუდით, რომ საგაზაფხულო კამპანიისათვის გამართულ იქნეს 3 სადგური, რაც უნდა მოიცავდეს 40.000 ჰექტარამდე სიერცეს;

დ) გაზაფხულისათვის კოლმეურნეობათა ჯგუფების შენაერთებთან მოწყობილ იქნეს 6 სამანქანო-სატრაქტორო კოლონა, რისთვისაც გამოყენებული უნდა იყოს როგორც ნაწილი ახალი ტრაქტორებისა, ისე, უპირატესად უკვე მომუშავე ტრაქტორები;

ე) იმავე გაზაფხულისათვის ჯგუფურ შენაერთებთან მოწყობილ იქნეს სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშზე (გლეხთა სახსარის ჩუთვლელად) 42 მანქანა-ხარისა და მანქანა-ცხენის კოლონა.

ცნობილ იქნეს, რომ სოფლის მეურნეობის განსაზოგადოების სფეროში დასახულ ამოცანათა შესასრულებლად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეობათა გამსხვილებას, მათში განსაზოგადოების დონის ამაღლებას და აგრეთვე მესაქონლეობის რაიონებში მსხვილ კოლმეურნეობათა ორგანიზაციას, მთელი რიგი ოლქების ერთიან კოლექტივიზაციაზე გადასვლით.

13. აუცილებელ საჭიროებად ჩაითვალოს მინერალური სასუქი მასალების შემდგომი გავრცელება, ამასთანავე ყურადღება მიექცეს ყველა იმ სასუქი მასალის გამოყენებას, რასაც თვით მეურნეობა იძლევა (ნაკელი, ნაცარი და სხვ).

კულტურათა მოსავლიანობის დასახულ დონემდე გადიდების მისაღწევად, წინადადება მიეცეს მიწასახომს დამუშაოს და განახორციელოს ის აგროლონის-ძიებათა რაიონობრივი კომპლექსი, რაც სავალდებულოა კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათათვის.

14. აღინიშნოს, რომ 1928-29 წელს საჭიროა მეურნეობების ზრდა სუსტი იყო და ამ მეურნეობათა ზრდის შემდგომი გაძლიერებისათვის საჭიროდ იქნეს ცნობილი მრავალშლიან ნარგავთა და ტეხნიკურ კულტურათა სიერცის გადი-

დღება 182<sup>0</sup>-ით; მიეკუთხს განსაკუთრებული ყურადღება საბჭოთა მეურნეობებში მეცნიერებლების საქმის განვითარებას.

15. რაღვანაც სოფლის მეურნეობის გეგმიანობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს კონტრაქტაციას, 1929-30 წ. გაფართოებულ იქნეს კონტრაქტებული სივრცე მარცვლეულ კულტურის დარგში: შემოღომისა 11,7 ათას ჰექტ. და გაზაფხულისა: სიმინდისა — 125 ათ. ჰექტ., ხორბლისა — 10 ათ. ჰექტ. და ქერისა — 16 ათას ჰექტ. თამბაქოს 20.800 ჰექტ., ბამბისა — 13.500 ჰექტ., ჩიისა — 7 ათას ჰექტ., კენაფისა — 1.050 ჰექტ., აბრეშუმის ჭიის პარკისა — მთლად გეგმით გათვალისწინებული დასამზადებელი რაოდენობა და მატყლისა 1.504 ათასი (90% გეგმით დასამზად. რაოდენობისა).

კონტრაქტითა გაურცელებულ იქნეს ბოსტნეულზე და მეცხოველეობის პროცესში.

## ବାସ୍ତ୍ଵର୍ତ୍ତନାତମ ହାର୍ଦ୍ଦିଶୀ.

16. 1929-30 წლის საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებულ სამუშაოთა წარმატების შესრულების მიზნით და ჩევნი ქვეყნის სურსათოთ მომარაგების საქმეში სიძნელეთა არსებობის გამო, დასახულ იქნეს ვაჭრობაში განსაზღვადოებული სექტორის ხედრითი წონის გადიდება  $81,1\%$ -დან (1928-29 წელში)  $88,9\%$ -მდე (1929-30 წელში). საერთო გეგმიან დამზადებათა  $36,9\%$ -თ. გადიდების დროს, საჭიროდ იქნეს ცნობილი სასურსათო საქონლის დამზადების გადიდება  $51,2\%$ -თ.

17. კერძო ვაჭრობის ქსელის შემდგომ შემცირებასთან დაკავშირებით, საპიროდ იქნეს ცნობილი სხვადასხვა კოოპერატული წერტების  $40\%$ -თ გადიდება მუშათა ძირითად რაიონებში საქონლის გამტარებელი ქსელის ფართოდ გაშლისა, მომზარებლისათვის მომსახურებობის გაშვევის საქმის თვისობრივ გაუმჯობესებისა და საკეთი პროდუქტების განაწილებისა, შენახვისა და გადამუშავების საქმის რაკიონალიზაციასთან ერთად.

18. მუშათა მომარაგების საქმის მოწესრიგებისა და მისი რეალური ხელფასის აწევის მიზნით, წინადაღება მიეცეს გატრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოში და კოპერატიულ ორგანიზაციებს, პროფორგანიზაციების უშუალო მონაცილეობით, შეიმუშაონ მუშათა მომარაგების ღონისძიებების სისტემა, რაც უზრუნველყოფს რეალური შრომის ხელფასის განხრას გადიდებას  $12\%_0$ -ით, მომარაგების საქმეში კლასობრივი პრინციპის სრული გატარებით.

კულტურული მშენებლობის დარგში.

19. რაღაც კვალიფიციური კადრების: საინჟენირო-სატექნიკო და აგრო-ნომიული პერსონალის და კვალიფიციური მუშების გადამზადების საქმეს დიდი მნიშვნელობა აქვს, წინადადება მიეკუს განათლების სახალხო კომისარიატს და სათანადო ორგანიზაციებს:

ბ) გაადიდონ 1929-30 წელს სპეციალისტების გამოშვება სასწავლებლებიდან; (სწავლების 4-წლიანი კურსით)  $20\%_0$ -მდე მოსწავლეთა საერთო კონტინგენტიდან;

გ) განახორციელონ განუწყვეტელ საწარმოო პრაქტიკაზე გადასტულა;

დ) გააძლიერონ მუშაობა იმ პრაქტიკოსების გადასამზადებლად, რომელთაც ინერჯებისა და ტეხნიკოსების აღგილი უჭირავთ, არანაკლებ, ვიდრე  $25\%_0$ -ით;

ე) წინადადება მიეცეს სმუს და შრომის სახალხო კომისარიატს გაადიდონ, დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად, საფაბრიკო-საქართველო მოწაფეობის სკოლებში მოწაფეთა კონტინგენტი;

ვ) მასების კულტურული ღონის აწევისა და საყოველთაო სავალდებულო პირველდაწყებითი სწავლების ცხოვრებაში დაჩქარებით გატარების მიზნით წინადადება მიეცეს განათლების სახალხო კომისარიატს ერთი თვის ვადაზე წარადგინოს სახალხო კომისართა საბჭოში სათანადო მოხსენება საყოველთაო სწავლების საქმის მდგომარეობის და პერსპექტივების შესახებ.

### ჯანმრთელობის დარგში.

20. ცნობილ იქნეს, რომ საექიმო-სასანიტარო დაწესებულებათა ქსელის ახლანდელი ზრდა ევრ უზრუნველყოფს მიერველობისა და სასოფლო მეურნეობის განვითარების ზრდის ტემპს, განსაკუთრებით სოფლის მოსახლეობის უღარიბესი და საშუალო მასებისათვის საექიმო დამატების გაწევის საქმეში.

რადგან საესებით მიზანშეწონილია სამაღლიო ფონდის გამოყოფა და ამასთანავე, რადგან მაღლარიასთან ბრძოლაში აღგილობრივი ბიუჯეტი მონაწილეობას არ იღებს, წინადადება მიეცეს საგეგმო კომისიას, ჯანსახომს და ფინანსების უზრუნველყონ 1930/31 წ. ბიუჯეტის საკონტროლო ციფრებში და აგრეთვე გადასამუშავებლად ხუთწლიან გეგმაში აღგილობრივი ბიუჯეტის აუკლებელი მონაწილეობა მაღლარიის საწინააღმდეგო ლონისძიებათა განხორციელების საქმეში.

### ფინანსებისა და მშენებლობის დარგში.

21. საქართველოს 1929-30 წ. რესპუბლიკანური ბიუჯეტი მიღებულ იქნეს 55.096.200 მან. რაოდენობით წინააღმდეგ 42.468.600 მან. 1928-29 წ. ე. ი. ზრდა  $29,7\%_0$ -ით.

მმართველობის ხარჯები . . . . .	1.614	ათასი მან.	$2,9\%$
სოციალ-კულტურული . . . . .	14.627,2	"	$26,6\%$
საოპერაციო ხარჯები . . . . .	4.941,0	"	$7,2\%$
სახალხო მეურნ. და ფინანს. . . . .	8.952,0	"	$16,2\%$
ფონდები . . . . .	1.016,0	"	$1,8\%$
დამატება აღგილებს . . . . .	24.946,0	"	$45,3\%$

ს უ ლ . . . . . 55.096,2 ათასი მან.  $100\%$

აღნიშნოს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტით სოციალურ-კულტურული ხარჯები არა საკმაოდ არის დაფინანსებული და რომ მიწასახომის ხარჯთაღრიც-

ხეით საოპერაციო სამეურნეო ხარჯები ნავარაუდევია არასაქმარისი რაოდენობით.

22. საქართველოს სსრ აღვილობრივი ბიუჯეტის ზრდა მიღებულ იქნეს 26,9% -თ, ე. ი.—77.331,8 ათასი მან. 60.943 ათასი მანეთთან შედარებით 1928-29 წელში.

მოწონებულ იქნეს აღვილობრივი ბიუჯეტის ხარჯების შემდეგი განაწილება:

მმართველობა, სასამართლო და

უშიშროების დაცვა . . . . .	6.753,3	ათ. მან.	8,7%
სოციალურ-კულტურული ხარჯები . . .	23.845,4	"	30,9%
სამეურნეო საწარმოო ხარჯები . . . . .	33.876,5	"	43,8%
სხვადასხვა . . . . .	12.856,6	"	16,6%
<b>ს უ ლ . . . . .</b>	<b>77.331,8</b>	<b>ათ. მან.</b>	<b>100%</b>

23. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის დაფინანსების საშუალებათა ყველა წყაროების მიხედვით საორიენტიროდ შემდეგ ჯამებში იქნეს მიღებული:

სოფლის მეურნეობა . . . . .	<b>45.439</b>	ათასი მან.	26,9%
მრეწველობა . . . . .	39.810	"	23,5%
ვაჭრობა და კომპერაცია . . . . .	2.479,2	"	1,5%
ელექტროფიკაცია . . . . .	18.090,0	"	10,7%
ტრანსპორტი . . . . .	22.043,7	"	13,0%
კომუნალური მეურნეობა . . . . .	6.113,6	"	3,6%
საბინაო მშენებლობა . . . . .	5.818,0	"	3,4%
კომუნალური საწარმონი . . . . .	17.063,0	"	16,1%
საკურტრო მშენებლობა . . . . .	1.063,0	"	0,6%
კავშირგაბმულობა . . . . .	2.775,0	"	1,7%
სხვადასხვა . . . . .	8.487,0	"	5,0%
<b>ს უ ლ . . . . .</b>	<b>169.083,1</b>	<b>ათ. მან.</b>	<b>100%</b>

24. მთლიან სახალხო მეურნეობის განსაზოგადოებული სექტორის კაპიტალური დაბანდებანი განისაზღვროს 134,2 მილ. მან. რაოდენობით, აქედან: სოფლის მეურნეობისათვის—36,6 მილ. მან., მრეწველობისათვის—36,6 მილ. მან. (მათ შორის მრეწველობისათვის სმუს-ის ხაზით—23.830 ათასი მან.), ელექტრო-მშენებლობა—18,1 მილ. მან., ვაჭრობა და კომპერაცია—2.479 ათასი მან., საგზაო მშენებლობა—19,5 მილ. მან., კომუნალური მეურნეობა—5.738 ათასი მან., საბინაო მშენებლობა—5.718 ათ. მანეთი, სახალხო განათლება—4.376 ათ. მან., სახალხო ჯანმრთელობა—1.413 ათ. მან., საკურტრო მშენებლობა—1.063 ათ. მან., კავშირგაბმულობა—2.776 ათ. მან., ნავთსაღვურები—794 ათასი მან., წყალსავალი გზები—129 ათასი მან.

აღნინიშნოს საკურორტო, კომუნალური და საბინაო მშენებლობათა არა საკმაოდ დაფინანსება, პირველისა—სახელმწიფო ბიუჯეტის და კრედი-

ტის ხაზით, ხოლო ორი უკანისკნელისა—ცენტრალური კომუნალური ბანკის ხაზით.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი ბეჭედი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკარა.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი ბეჭედი კომიტეტის მდივანი ს. თოლდრია.

1930 წ. იანვრის 17.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გამ. „კომუნისტის“ 24 №-ში 1930 წ. იანვრის 30.

## 58. დადგენილება ც. ა. პ.

(მე-V მოწვევის მე-2 სესიის)

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ხესიებ შუა მიღებულ უმნიშვნელოვანების საკანონმდებლო აქტების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) 29 მუხლის საფუძველზე სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს ყველა ის ქვემოყვანილი დადგენილება, რაც სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა მიიღო ამავე კომიტეტის სესიებ შუა დროის განმავლობაში:

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის დებულების მე-12 მუხ. შენიშვნის შეცვლის შესახებ (კან. კრებ. 1928 წ. № 1, მუხ. 1).

2. საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის შესახებ (კან. კრებ. 1928 წ. № 4, მუხ. 33).

3. საქართველოს სსრ მთავრობის კანონთა და განკარგულებათა გამოქვეყნების წესის შესახებ—შემდეგ გამოცემულ ცვლილებებით (კან. კრებ. 1928 წ. № 7, მუხ. 52; 1929 წ. № 22, მუხ. 257).

4. შრომის გმირთა შესახებ (კან. კრებ. 1928 წ. № 12, მუხ. 115).

5. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის საარჩიტრაჟო კომისიების დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის საარჩიტრაჟო კომისიების შესახებ (კან. კრებ. 1928 წ. № 13, მუხ. 126).

6. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის შესახებ (კან. კრ. 1928 წ. № 15, მუხ. 144).

7. საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამართველოს დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. ცენტრალური სტატისტიკური სამართველოს შესახებ (კან. კრებ. 1928 წ. № 16, მუხ. 152).

8. ა/ქსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულისათვის საქართველოს სსრ-ში უფლების მინიჭების შესახებ დააწესოს აღმნისტრატიული გადასახდელი ვაჭრობის მოწესრიგების წესით გამოცემულ სავალდებულო დაფენილებათა დარღვევისათვის—შემდეგ გამოცემული ცვლილებით (კან. კრ. 1928 წ. № 16, მუხ. 153; 1929 წ. № 14, მუხ. 147).

9. დებულება საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ—შემდეგ გამოცემული ცვლილებით (კან. კრ. 1928 წ. № 16, მუხ. 157; 1929 წ. № 3, მუხ. 28; № 13, მუხ. 131; № 22, მუხ. 266).

10. ომის ინვალიდთა, ავადმყოფ, დაჭრილ და დემობილიზებულ წითელ-არმიელთა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახების დამხმარე საქართველოს კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატან არსებული ომის ინვალიდთა, ავადმყოფ, დაჭრილ და დემობილიზებულ წითელარმიელთა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახების დამხმარე საქართველოს კომიტეტის შესახებ—შემდეგ გამოცემული ცვლილებით (კან. კრებ. 1929 წლ. № 1, მუხ. 11; № 22, მუხ. 252).

11. პროსტიტუციასთან პრძოლის ცენტრალური რესპუბლიკანური საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება პროსტიტუციასთან საბრძოლველად სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ცენტრალური რესპუბლიკანური საბჭოს შესახებ (კან. კრებ. 1929 წ. № 2, მუხ. 20).

12. პერსონალური პენსიის დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

დებულება პერსონალური პენსიის შესახებ—შემდეგ გამოცემული ცვლილებით (კანონთა კრებული 1929 წ. № 3, მუხლი 26; № 12, მუხლი 103).

13. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის შესახებ (კანონთა კრებული 1929 წელი № 6, მუხლი 42).

14. მოსახლეობის ოვითდაბეგვრის დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

დებულება მოსახლეობის ოვითდაბეგვრის შესახებ—შემდეგ გამოცემული ცვლილებით (კან. კრებ. 1929 წ. № 9, მუხ. 71); № 22, მუხ. 251).

15. ახალ სპეციალისტთა მომზადებისა, განაწილებისა და გამოყენების შესახებ (კანონთა კრებული 1929 წელი № 11, მუხლი 80).

16. „საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტის მიერ სახელმწიფოსაგან ეკლესიისა და ეკლესიისაგან სკოლის ჩამოშორების თაობაზე“ 1921 წლის აპრილის 15-ის თარიღითა და 21 №-ით გამოცემული დექრეტის მე-11 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ (კანონთა კრებული 1929 წელი № 12, მუხლი 110).

17. სახელმწიფო ჯიშიანი თესლეულის ფონდის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება სახელმწიფო ჯიშიანი თესლეულის ფონდის შესახებ (კან. კრებ. 1929 წ. № 13, მუხ. 127).

18. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ახალი აღმინისტრატიულ-ტერიორიალური დაყოფის შესახებ (კან. კრებ. 1929 წ. № 16, მუხ. 168).

19. საბინაო მეურნეობისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ (კან. კრებ. 1929 წ. № 16, მუხ. 176).

20. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის აღმინისტრატიულ-ტერიორიალური დაყოფის დამტკიცებისა და ახალი აღმინისტრატიულ-ტერიორიალური ერთეულების მოწყობის წესის შესახებ (კანონთა კრებული 1929 წლის № 17, მუხლი 190).

21. სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ საწარმოსა და დაწესებულებებში მოქმედი საამთანაგო სასამართლოების შესახებ (კან. კრებული 1929 წ. № 18, მუხ. 148).

22. საავტორო უფლების დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოლების შესახებ.

დებულება საავტორო უფლების შესახებ (კანონ. კრებული 1929 წ. № 19, მუხლი 200).

23. სამაზრო სასამართლოებას გაუქმებისა და სისხლის სამართლის და სამოქალაქო სამართლის საქმეების ქვემდებარეობის შესახებ (კან. კრებ. 1929 წ. № 19, მუხლი 201).

24. საქართველოს სსრ-ის ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის შესახებ—შემდეგ გამოცემული ცვლილებებით (კანონთა კრებული 1929 წელი № 19, მუხლი 202; № 23, მუხლი 286).

25. ადგილობრივ საგლეხო დამზღვევი ხელულებელი საოცსლე მარაგის (ფონდის) შესახებ (კანონთა კრებული 1929 წ. № 14, მუხლი 203).

26. ნიდირობის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება ნადირობის შესახებ (კან. კრებ. 1929 წ. № 20, მუხ. 226).

27. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ახალციხის მაზრის აღმინისტრატიული ტერიორიალური დაყოფის დამტკიცების შესახებ (კან. კრებ. № 20, მუხ. 228).

28. სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან წერა-კითხების უცოდინარობის და მცირე ცოდნის ლიკვიდაციის საზოგადოებრივი კომიტეტის დაარსების შესახებ (კან. კრებ. 1929 წ. № 21, მუხ. 237).

29. აღვილობრივი საბჭოებისათვის იმ უფლების მინიჭების შესახებ, რომლის ძალითაც მათ შეუძლიანთ აღმინისტრატიული გადასახდელი დაადგან იმ პირთ, ვინც თავს აარიდებს პურის ჩაბარებას თვითვალდების წესით პურის დამზადების გეგმის შესასრულებლად (კან. კრებ. 1929 წ. № 22, მუხლი 258).

30. ნაციონალიზაციაქმნილ და მუნიციპალიზაციაქმნილ სახლებში მოსახლეობის არამშრომელი კატეგორიის პირთა ცხოვრების შეზღუდვისა და ამავე სახლებიდან ყოფილ მფლობელთა გამოსახლების შესახებ („კომუნისტი“ 1929 წ. № 292, დეკემბრის 19).

31. პასუხსავებ სამუშაოზე მუშაოთა და გლეხთა დაწინაურების წესისა და დაწინაურებულთა მუშაობის პირობების შესახებ (კანონთა კრებული 1929 წელი № 24, მუხლი 301).

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1930 წ. იანვრის 17.  
ტფილისი—სასახლე.

## 59. დ ა დ გ ვ ი ნ ი ლ ე ბ ა ც. ა. ტ.

(მე-V მთწვევის მე-2 სესიისა)

საქართველოს სსრ-ის კოდექსების იმ ცვლილებისა და დამატების დამტკიცების შესახებ, რაც მიღებულ იქნა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ხესიებს შუა.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი აღგენს: დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დადგენილებანი კოდექსების ცვლილებისა და დამტკიცების შესახებ, რაც, სრულიად საქართველოს საბჭოთა II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2-ე სესიის მიერ 1924 წ. მარტის 10-თარილითა და 77 №-ით გამოცემული დადგენილების (კან. კრ. 1924 წ. № 1, მუხ. 7) მე-2-ე მუხლისამებრ, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა და საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭომ მიიღეს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიებს შუა:

სისხლის სამართლის კოდექსი.

1. 1929 წ. ოქტომბრის 13 თარილისა—162 მუხლისა და იმ დანაშაულთა დებულების 1, 5 და 7 მუხლების შეცვლის შესახებ, რაც საგარეულო ყოფაცხოვრების ნაშთს წარმოადგენს, (კან. კრებ. 1929 წ. № 6, მუხ. 43).

2. 1929 წ. მარტის 11 თარილისა—22 მუხლისათვის მეორე ნაწილის დამტების შესახებ (კან. კრებ. 1929 წ. № 8, მუხ. 92).

3. 1929 წ. მაისის 25 თარილისა—143<sup>1</sup> მუხლის დამატების შესახებ (კან. კრებ. 1929 წ. № 13, მუხ. 124).
4. 1929 წ. ივნისის 5 თარილისა—127<sup>1</sup>—127<sup>4</sup> მუხლების დამატებისა და 69 მუხლის ამოშლის შესახებ (კან. კრ. 1929 წ. № 13, მუხ. 130).
5. 1929 წ. ივნისის 5 თარილისა—„იარალისა და სასროლი მასალის გატაცებისათვის სისხლის სამართლის წესით პასუხისმგებლობის გაძლიერების“ თაობაზე გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური ოღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. თებერვლის 6-ის დადგენილებასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ (კან. კრებ. 1929 წ. № 148).
6. 1929 წ. ივლისის 6 თარილისა—58 მუხ. მე-2 ნაწილის შეცვლის შესახებ (კან. კრ. 1929 წ. № 166).
7. 1929 წ. ივლისის 11 თარილისა—15 მუხ. შეცვლის შესახებ (კან. კრ. 1929 წ. № 16, მუხ. 177).
- 1929 წ. ივლისის 11 თარილისა—79 და 101 მუხ. შეცვლისა, 58<sup>17</sup> ბ., 103<sup>1</sup>, 103<sup>2</sup>, 103<sup>3</sup> მუხ. დამატებისა და 201 მუხ. ამოშლის შესახებ (კან. კრებ. 1929 წ. № 16, მუხ. 178).
9. 1929 წ. ივლისის 11 თარილისა—სსრკ-ის საბაჟო კოდექსის სამოქმედოდ შემოღების გამო საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო ცვლილების შეტანის შესახებ (კან. კრებ. 1929 წ. № 16 მუხ. 179).
10. 1929 წ. ივლისის 11 თარილისა—სამხედრო დანაშაულთა დებულების 1 მუხლის მე-2 ნაწილის რედაქციის შეცვლის შესახებ (კან. კრებ. 1929 წ. № 17, მუხ. 184).
11. 1929 წ. აგვისტოს 7 თარილისა—137 მუხლისათვის მე-2-ე ნაწილის დამატების შესახებ (კან. კრებ. 1929 წ. № 17, მუხ. 189).
12. 1929 წ. სექტემბრის 5 თარილისა—სამხედრო დანაშაულთა დებულების 7 და 8 მუხლების შეცვლის შესახებ (კან. კრებ. 1929 წ. № 19, მუხ. 205).
13. 1929 წ. სექტემბრის 14 თარილისა—106<sup>1</sup> მუხლის დამატების შესახებ (კან. კრებ. 1929 წ. № 19, მუხ. 211).
14. 1929 წ. სექტემბრის 28 თარილისა—118, 119, 126, 127 და 134 მუხ. შეცვლის შესახებ (კან. კრებ. 1929 წ. № 21, მუხ. 234).
15. 1929 წ. სექტემბრის 28 თარილისა—30<sup>1</sup>, 58<sup>19</sup> მუხ., 66 მუხ. მე-2 ნაწილისა და სამხედრო დანაშაულთა დებულების ზოგიერთი მუხლის ქართული ტექსტის რედაქციის შეცვლის შესახებ (კან. კრებ. 1929 წ. № 21, მუხ. 232).
16. 1929 წ. ოქტომბრის 27 თარილისა—88<sup>1</sup> მუხლის დამატების შესახებ (კან. კრებ. 1929 წ. № 22, მუხ. 255).
17. 1929 წ. ოქტომბრის 27 თარილისა—212 მუხლის გაუქმების შესახებ (კან. კრებ. 1929 წ. № 22, მუხ. 256).
18. 1929 წ. ოქტომბრის 30 თარილისა—16 მუხლისათვის შენიშვნის დამატებისა და 53 მუხლის ამოშლის შესახებ (კან. კრებ. 1929 წ. № 22, მუხ. 264).
19. 1929 წ. ოქტომბრის 30 თარილისა—16 მუხლის შეცვლის შესახებ. (კან. კრებ. 1929 წ. № 22, მუხ. 265).

სამოქალაქო სამართლის კოდექსი.

1. 1928 წ. ივლისის 18 თარიღისა—სსრკ ცენტრალური ოლმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ სააქციო საზოგადოებათა დებულების გამოცემასთან დაკავშირებით სამოქალაქო სამართლის კოდექსის შეცვლის და დამატების შესახებ (კან. კრებ. 1929 წ. № 4, მუხ. 37).

2. 1929 წ. პრილის 3 თარიღისა—სამოქ. სამ. კოდექსისათვის 137 მუხ. დამატების შესახებ (კან. კრებ. 1929 წ. № 12, მუხ. 100).

3. 1929 წ. პრილის 18 თარიღისა—72 მუხ. შენიშვნისა და 90, 103, 105, 182<sup>3</sup> და 135 მუხლების შეცვლის შესახებ (კან. კრებ. 1929 წ. № 11, მუხ. 83).

4. 1929 წ. მაისის 5 თარიღისა—57<sup>1</sup>, 57<sup>2</sup>, 79<sup>1</sup>, 79<sup>2</sup>, 81<sup>1</sup>, 87<sup>1</sup>, 181<sup>1</sup> და 181<sup>2</sup> მუხლების დამატებისა და 79 მუხლიდან შენიშვნის ამოშლის შესახებ (კან. კრებ. 1929 წ. № 13 მუხ. 123).

5. 1929 წ. მაისის 10 თარიღისა—19 მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ (კან. კრებ. 1929 წ. № 12, მუხ. 104).

6. 1929 წ. მაისის 10 თარიღისა—38 მუხლის ქართული რედაქციის შეცვლის შესახებ (კან. კრებ. 1929 წ. № 12, მუხ. 105).

7. 1929 წ. ივლისის 11 თარიღისა—71 მუხლის შენიშვნებითურთ შეცვლისა და 154 მუხლისათვის შენიშვნისა და 156<sup>1</sup> და 156<sup>2</sup> მუხლების დამატების შესახებ (კან. კრებ. 1929 წ. № 16, მუხ. 171).

8. 1929 წ. ივლისის 11 თარიღისა—101 მუხლის შეცვლის შესახებ (კან. კრ. 1929 წ. № 18 მუხ. 195).

9. 1929 წ. სექტემბრის 14 თარიღისა—სახლის დროებითი მდგმურებისა და სახლიდან დროებით წასულებისათვის საცხოვრებელ სივრცეზე უფლების შენარჩუნების პირობების თაობაზე გამოცემული დებულების (171 მუხ. დანართი) შევსების შესახებ (კან. კრებ. 1929 წ. № 19, მუხ. 210).

10. 1929 წ. სექტემბრის 28 თარიღისა—212 მუხლის შენიშვნის დამატების თაობაზე გამოცემული ც. ა. კ-ის და ს. კ. ს-ოს 1927 წ. ნოემბრის 15-ის თარიღისა და 96 №-ის დადგენილების შეცვლის შესახებ (კან. კრებ. 1929 წ. № 20, მუხ. 222).

11. 1929 წ. სექტემბრის 28 თარიღისა 324 მუხლის რედაქციის შეცვლისა და 366<sup>88</sup>-ა მუხლის დამატების შესახებ (კან. კრებ. 1929 წ. № 20 მუხ. 223).

12. 1929 წ. სექტემბრის 28 თარიღისა—407<sup>1</sup> მუხლის დამატების შესახებ (კან. კრებ. 1929 წ. № 20, მუხ. 224)

13. 1929 წ. ოქტომბრის 9 თარიღისა—137 მუხლის შეცვლის შესახებ (კან. კრ. 1929 წ. № 21, მუხ. 236).

14. 1929 წ. ოქტომბრის 27 თარიღისა—265 მუხლის მე-2-ე შენიშვნის რედაქციის შეცვლის შესახებ (კან. კრებ. 1929 წ. № 22, მუხ. 253).

15. 1929 წ. ოქტომბრის 30 თარიღისა—366<sup>88</sup> და 366<sup>88</sup> გაღმატების შესახებ (კან. კრებ. 1929 წ. № 22, მუხ. 259).

16. 1929 წ. ოქტომბრის 30 თარიღისა—415<sup>1</sup> მუხლის შეცვლის შესახებ (კან. კრ. 1929 წ. № 22, მუხ. 260).

17. 1929 წ. ოქტომბრის 30 თარილისა—ლიკვიდაციად მიქცეულ საწინა-მოთავების ამა თუ იმ პირის დაშავებისა ან სიკვდილის გამო გადასახდევინებელი პენსიისა და სასყიდლის კაპიტალიზაციის შესახებ (415<sup>1</sup> მუხლის დანართი კან. კრ. 1929 წ. № 22, მუხ. 261).

18. 1929 წ. ნოემბრის 11 თარილისა—79<sup>3</sup>, 84<sup>2</sup>, 154<sup>1</sup> და 335<sup>1</sup> მუხ. დამატების შესახებ (კან. კრებ. 1929 წ. № 23, მუხ. 285).

19. 1929 წ. ნოემბრის 20 თარილისა—205<sup>3</sup> მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ (კან. კრებ. 1929 წ. № 23, მუხ. 291).

20. 1929 წ. ნოემბრის 23 თარილისა—179 მუხლის რედაქციის შეცვლისა და ამავე მუხლისათვის მე-2 შენიშვნის დამატების შესახებ (კან. კრებ. 1929 წ. № 24, მუხ. 297).

21. 1929 წ. ნოემბრის 30 თარილისა—105<sup>9</sup> მუხლის რედაქციის შეცვლისა და 105<sup>10</sup>—105<sup>11</sup> მუხ. დამატების შესახებ (კან. კრებ. 1929 წ. № 24, მუხ. 300).

### მიშის კოდექსი.

1. 1929 წ. სექტემბრის 28 თარილისა—27 მუხ. „გ“ და „გ“ პუნქტების შეცვლისა და 29 მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ (კან. კრ. 1929 წ. № 20, მუხ. 225).

2. 1929 წ. ნოემბრის 20 თარილისა—2<sup>1</sup> მუხლის დამატებისა, 23 მუხლის შენიშვნის რედაქციის შეცვლისა და 92<sup>1</sup> მუხლის გაუქმების შესახებ (კან. კრებ. 1929 წ. № 23, მუხ. 293).

### სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.

1. 1929 წ. მაისის 10 თარილისა—სისხ. სამ. საპრ. კოდ. შეცვლის შესახებ (კან. კრებ. 1929 წ. № 12, მუხ. 109).

3. 1929 წ. ივლისის 11 თარილისა—1 მუხლის შენიშვნის დანართის 2, 3, 4, 5 და 6 მუხლების შეცვლისა და ამავე დანართის მე-15 მუხლების რედაქციის შეცვლისა და ამავე დანართის მე-15 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ (კან. კრებ. 1929 წ. № 17, მუხ. 185).

### სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი.

1. 1929 წ. მარტის 6 თარილისა—306 მუხლის შეცვლის შესახებ (კან. კრ. 1929 წ. № 6, მუხ. 46).

2. 1929 წ. მაისის 10 თარილისა—271 მუხლის 1-ლი დანართისათვის „3“ და „3“ პუნქტების დამატების შესახებ (კან. კრებ. 1929 წ. № 12, მუხ. 108).

3. 1929 წ. ივლისის 11 თარილისა—სამოქ. სამ. საპრ. კოდ. შეცვლისა და დამატების შესახებ (კან. კრებ. 1929 წ. № 18, მუხ. 196).

4. 1929 წ. სექტემბრის 28 თარილისა—230<sup>3</sup>—მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ (კან. კრ. № 21, მუხ. 233).

5. 1929 წ. სექტემბრის 5 თარილისა—სამოქ. საპრ. კოდ. 22 და 25 მუხ. შეცვლისა სასამართლოს წყობილების დებულებისათვის 141 მუხლის დამატების შესახებ (კან. კრებ. 1929 წ. № 23, მუხ. 279).

6. 1929 წ. ნოემბრის 11 თარიღისა—27 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ (კან. კრებ. 1929 წ. № 23, მუხ. 280).

### სახამართლოს წყობილების დებულება.

1. 1929 წ. თაბერელის 6 თარიღისა—სასამართ. წყობ. დებულების XVI თავის და სასამართლოს სადისციპლინო კოლეგიის გაუქმების შესახებ (კან. კრ. 1929 წ. № 6, მუხ. 41).

2. 1929 წ. მაისის 10 თარიღისა—სასამ. წყობ. დებულების შეცვლის შესახებ (კან. კრებ. 1929 წ. № 12, მუხ. 107).

სრულიად საქართველოს ცენტრალური ოლმას-  
რულებელი კომიტეტის თავმჯდომარე შ. ცხაკაია.

სრულიად საქართველოს ცენტრალური ოლმას-  
რულებელი კომიტეტის მდივნი ს. თოდრია.

1930 წ. იანვრის 17.  
ტფილისი-სასახლე.

### 60. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ც. ა. პ.

(მე-V მოწვევის მე-2 სესიის)

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის რეორგანიზაციის შესახებ.

მოისმინა რა მოხსენება საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის რეორგანიზაციის შესახებ,—სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-V მოწვევის ცენტრალური ოლმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესია ადგენს:

1. საბჭოთა პარატის გამარტივებისა, გაიაფებისა და რაციონალიზაციისათვის, აგრეთვე მისი მასებთან დაახლოებისათვის და ადგილობრივი ოლმასრულებელი კომიტეტის მიმართ—ადმინისტრატიულ-საორგანიზაციო მოქმედების სფეროში—მოქნილი და ერთიანი ხელმძღვანელობის განხორციელებისათვის—სრულიად საქართველოს ცენტრალური ოლმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

2. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი, როგორც დამოუკიდებელი სახალხო კომისარიატი, გაუქმებულ იქნეს.

3. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ახლანდელი ფუნქციები, რომლებიც ეხება ადგილობრივი ადმინისტრატიული ორგანოებისათვის ზედამხედველობისა და ხელმძღვანელობის გაწევას სავალდებული დადგენილებათა გამოცემის სფეროში, იმ საზოგადოებათა და კაცშირთა დაარსებისა და მოქმედებისათვის მეთვალყურეობის განხორციელებას, რომელიც მოვების მიღების მიზანს არ მისდევს, აგრეთვე ეკლესიის სახელმწიფოსაგან ჩამოშორების შესახებ არსებული კანონმდებლობის განხორციელებას, რელიგიური კულტურისათვის მეთვალყურეობის გაწევას და სამოქალაქო უფლების ადდგენას, გადაეცეს სრუ-

ლიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზა-  
ციონ განყოფილებას.

4. ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა საერთო და საუწყებო მილიცი-  
ისა და სისხლის სამართლის საბეჭრო მილიციის მოქმედებისათვის გადავიდეს  
სახელმწიფო პოლიტიკური სამართველოს გამგებლობაში.

5. საპატიორო აღვილების მმართველობის ფუნქციები და აგრეთვე ცენტ-  
რალური განმანაშილებელი კომისია და პენიტენციარული საბჭო გადავიდეს სა-  
ქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს გამგებლობაში.

6. სახანძრო ინსპექცია გადავიდეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეო-  
ბის უმაღლესი საბჭოს გამგებლობაში.

7. მილიციის სკოლა გაუქმდებულ იქნეს.

8. საქართველოს სსრ შინგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მმართვე-  
ლობა და განყოფილებათა ყველა ოპერატორული ფუნქციები დეცენტრალიზებულ  
იქნეს და გადავიდეს აღვილობრივი აღმასრულებული კომიტეტების გამგებლო-  
ბაში.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულე-  
ბელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმას-  
რულებელი კომიტეტის მდივნი ს. თოლია.

1930 წ. იანვრის 17.  
ტფილისი—სასახლე.

## 61. დ ა დ გ ვ ნ ი ლ ვ ბ ა ვ . პ . პ .

(მე-V მოწვევის მე-2 სესიისა)

საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის რეორგანიზაციის შე-  
სახეშ.

მოსმინა რა მოხსენება საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისა-  
რიატის რეორგანიზაციის შესახებ, სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-V მო-  
წვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესია აღვენს:

1. საბჭოთა პარატის მუშაობაში პარალელიზმისა და გაურკვევლობის  
თავიდან აცილებისათვის და ამ პარატის გამარტივებისა, გაიაფებისა და რა-  
ციონალიზაციისათვის რეორგანიზებულ იქნეს საქართველოს სსრ სასამართლო  
მმართველობა და რევოლუციონური კანონიერების ზედამხედველობა ქვემომ-  
დევნი მუშაობაში აღნიშნულ საფუძვლებზე.

2. იუსტიციის სახალხო კომისარიატი—როგორც დამოუკიდებელი სახალხო  
კომისარიატი—გაუქმდებულ იქნეს.

3. საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს, გარდა იმ ფუნქციებისა, რაც  
დაკისრებული აქვთ მომქმედი კანონით, დაკისროს საერთო ხელმძღვანელობა,  
ორგანიზაცია, ინსტრუქტორება და აღმინისტრირება საქართველოს სსრ ტერი-  
ტორიაზე მომქმედი ყველა სასამართლო დაწესებულებისა და აგრეთვე ნოტარი-  
ატისა და სასამართლოს აღმასრულებლებისა.

4. იუსტიციის სახალო კომისარიატის საპროცესურატურო განცხადება, რომელიც სასამართლო, სააღმინისტროაციო და სამეცნიერო დაწესებულებების მიმართ ანთორციელებს უმაღლესი ზედამხედველობის ფუნქციებს, რეორგანიზებულ იქნებს რესტურანტის პროცესურატურად და მას უშუალოდ დაექვემდებაროს ადგილობრივი პროცესურატურა.

5. იუსტიციის სახალხო კომისარიატის საკანონმდებლო განცხადების ფუნქციები გადაეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიკური საბჭოს საქმეთა მმართველობის სარედაქციო-იურიდიულ განცხადებას.

6. იუსტიციის სახალხო კომისარიატის საკოდიტიკაციო ნაწილი და საგამომცემლო აპარატი გადავიდეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართ საბჭოს და ეკონომიკური საბჭოს საქმეთა მმართველობის გამგებლობაში.

7. საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლო და პროცესურატურა არსებობენ სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმას-  
რულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.  
სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმას-  
რულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოლირია.

1930 წ. იანვრის 17.  
ტფილისი—სასახლე.

## ცენტრალური პროცესულებელი კომიტეტის და სა- ხალხო კომისართა საგანგენილებანი.

### 62. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ც. ა. ც. დ ა ს. კ. ს.

თანამდებობის პირთა სადისციპლინო პასუხისმგებლობის დებულების გაუქ-  
ბის შეხახებ.

„სსრ კავშირისა და მოქავშირე რესპუბლიკების სადისციპლინო კანონმდებლობის ძირითად საფუძველთა „შესახებ“ გამოცემულ სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ოქტომბრის 13-ს დადგენილებასთან (სსრკ კან. კრ. 1924 წ. 71 №-ი, მუხ. 670) დაკავშირებით და ამ დადგენილების მე-16 მუხ. თანახმად, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სრულიად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. იანვრის 16 დადგენილებით დამტკიცებული დებულება „თანამდებობის პირთა სადისციპლინო პასუხისმგებლობის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-3 №-ი, მუხ. 27 და 23 №-ი, მუხ. 249) ძალადაკარგულიად ჩაითვალოს.

2. წინადადება მიეცეს აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ისა და სამხრეთ-ოსვეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულე-

ბელ კომიტეტებს შეიტანონ სათანადო ცელილება 1-ლ მუხლში აღნიშნული დადგენილების თანახმად გამოცემულ აქტებში; ამასთანავე, სამხრეთ-ოსთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა თავისი სათანადო დადგენილება წარუდგინოს დასამტკიცებლად სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მოვალ. აღმ. თ. ულენტი.

1930 წ. თებერვლის 21.

ტფილისი—სასახლე.

### 63. დადგენილება ვ. ა. ქ. და ს. ქ. ს

სახემლშითო ნოტარიატის დებულების შევსების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სახელმწიფო ნოტარიატის დებულების (კან. კრ. 1928 წ. მე-16 №-ი, მუხ. 157) მე-10 მუხლს დაემატოს პუნ. 18, 46 მუხლს—პუნ. „ს“ და შეიცვალოს იმ-ავე დებულების 48 მუხლის 1-ლი პუნ. და ოვითეული მათგანი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

1. მუხ. 10. პუნ. 18. „დამოწება იმისა, რომ ჩეკი წარდგენილია გასანალდებლად და რომ იგი განაღდებულ არ იქნა.“

2. მუხ. 46. პუნ. „ს“. „ჩეკს, მიუხედავათ იმისა, თუ ვინ არის მოპასუხე ჩეზე დაყარებული მოთხოვნით.“

3. მუხ. 48. პუნ. 1. „შექმნა მოთხოვნა მიქცეულია სახელმწიფო დაწესებულებასა, სახელმწიფო საწარმოსა ან პროფესიონალურ ორგანიზაციაზე, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ეს მოთხოვნა ემყარება ჩეკს ან საკრედიტო დაწესებულების ისეთ დოკუმენტს, რაც აღასტურებს საბანკო ოპერაციით ფულის გადახდის გადაცილებას, ან და ანგარიშის გასწორების წიგნაკს.“

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულე-

ბელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ ხალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრუ-

ლებელი კომიტეტის მდივნის მოვალ. აღმ. თ. ულენტი.

1930 წ. თებერვლის 21.

ტფილისი—სასახლე.

64. ଭାଷାକେନ୍ଦ୍ରୀୟାଙ୍କ ଓ. ଜ. କ. ଭୁବନେଶ୍ୱର

სასოფლო საბჭოების სანოტარო მოქმედების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დაკისროს იმ სისოფლო საბჭოს, რომლის რაიონშიაც არ არის სანტარო კონტრა და სახალხო მოსამართლე, შემდეგი სანოტარო ფუნქციები:

ა) ლამეშვება ყოველგვარი გარიგებისა ცლქმი მოქალაქეთა შორის, სრულ ამხანაგობათა და ნობისა ამხანაგობათა ხალშეკრულობების გარდა;

ბ) დამოწმება ხელშეკრულობებისა, რომელთაც ქვედა საფეხურის კომპ-  
რატიული ორგანიზაციები (სასოფლო-სამეურნეო, სამმახმარებლო, საკურედიტო  
ამხანაგობა, არტელი და სხვ.) და გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტები  
დასდებენ როგორც ერთმანეთ შორის, ისე ცალკე მოქალაქებთანაც და აგრე-  
თვე ხელშეკრულობებისა საგლეხო მეურნეობათა მიერ თავისი მეურნეობის პრო-  
ცესურების სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთათვის ყიდვა-მიწოდების  
შესახებ;

გ) დამოწმება ხელშეკრულობებისა ფოსტის აღგილობრივ ორგანოებსა და გლეხებს შორის ფოსტის გადაზიდვის შესახებ, როდესაც ხელშეკრულობის თანხა 3.000 მან. არ აომატება;

დ) მოხდენა თამასუქის პროტესტისა მმ შემთხვევაში, როდესაც ფულის გადახდა სათანადო სასოფლო საბჭოს რაიონში უნდა მოხდეს, და ამ თამასუქშე აოსტონლების ჭარბირის გაკეთება;

ე) შემოწმება ხელმინნაწურისა ჭირა-კითხვის უცოდინარის ნაცვლად ყოვლადარ გალიტოლიგიზმზე და სხვა დოკუმენტზე;

3) დადასტურება საფონსტო კორპუსონდების მიმღების ვინაობისა და შემოწერება ხელმოწადცებისა განკუთხებაზე, უწყებაზე და სხვა დოკუმენტები;

**შენიშვნა.** ამა მუხლის „დ“ პუნქტში აღნიშნულ მოქმედებას სასოფლო საბჭო შეასრულებს იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი მხარე მაინც შოთმიდათ ექვორობს სათვალო საკოლოო საბჭოს რაიონში.

2. გარიგებათ დამოწმება და ხელმონაწერისა და ღოკუმენტის ასლის სისწორის შემოწმება მოხდება სათანადო წარწერის გაკეთებით დასამოწმებელ და შესპონაწმებელ დოკუმენტზე და ბეჭდის დასმით.

3. ყოველგვარი შემოწმების შესრულების დროს სასოფლო საბჭო უნდა დარწმუნდეს—შესაბამება თუ არა შესამოწმებელი გარიგება და დოკუმენტი მომქმედ კანონებს და, უკეთუ კანონის საწინააღმდეგო რამ აღმოჩნდა, უარი უნდა სთვას შემოწმებაზე. სასოფლო საბჭო არ განიხილავს იმ სეკიონს—მიზან-შეწონილია თუ არა შესამოწმებლად წარდგენილი გარიგება და დოკუმენტი და აგრძელებული ხელსაყრელი ან საზარალოა თუ არა იგი მხარეთათვის.

4. გამოსალები შემოწებისათვის გადახდებინგებულ უნდა იქნეს განსაკუთრებული ნიხრის მიხედვით, რომელსაც შეიმუშავებს უზენაესი სასამართლო ფინანსთა სახალხო კომისარიატთან ერთად; შემოსული გამოსალები ჩირილუბება

სასოფლო საბჭოს ბიუჯეტის შემოსავალში, ხოლო უკეთუ სასოფლო საბჭოს დამოუკიდებელი ბიუჯეტი არა აქვს — სარანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ბიუჯეტის შემოსავალში.

**შენიშვნა.** სოფლის მცხოვრებთა ხელმონაწერის სინამდვილის შემოწმება საფოსტო უწყებაზე და შემოწმება რწმუნებულობისა, რასაც სოფლის მცხოვრები გასცემენ ფულადი და საამანათო კორესპონდენციის მისაღებად, მოხდება გამოსაღების გადაუხდევინებლად.

5. წინადადება მიეცეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებას, ფინანსთა სახალხო კომისარიატთან და უზენაეს სასამართლოსთან შეთანხმებით, ორი კვირის ვადაზე ვაუგზავნოს სასოფლო საბჭოებს სათანადო ინსტრუქცია ამა დადგენილებაში გათვალისწინებული სანოტარო მოქმედების შესრულების წესის შესახებ.

6. გაუქმებულ იქნეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1926 წლის ივნისის 22-ის დადგენილება „სათემო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გარიგებათა, ხელშეკრულებათა და დოკუმენტთა შემოწმების შესახებ“ (კან. კრ. 1926 წ. მე-3 №-ი, მუხ. 72) და სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის სექტემბრის 14-ის დადგენილება „სათემო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გარიგებათა, ხელშეკრულობათა და დოკუმენტთა შემოწმების თაობაზე გამოცემული დადგენილების შეცვლისა და შეცვების შესახებ“ (კან. კრ. 1929 წ. 19 №-ი, მუხ. 208).

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მოვ. აღმ. თ. ულენტი.

1930 წ. თებერვლის 21.  
ტფილისი — სასახლე.

## 65. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 260 მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესით (კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღენენ:

სამინქალაქო სამ. საპრ. კოდექსის 260 მუხლს დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაგარებისა:

შენიშვნა. „სამუშაო ხელფასისა და ავტორისათვის მისი გამონაკლისი უფლების გამოყენების საზღაურად მისაცემი გასამრჯელოს გადახდევინების თაობაზე გამოტანილი სასამართლოს გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულობისათვის დაინიშნება გადა არა უშერტეს სამი დღისა“.

სრულიად საქართველოს კენტრალური ომა-

სრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს

თავმჯდომარე კვ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს კენტრალური ომა-

სრულებელი კომიტეტის მდივნის მოვ. ალ. თ. ფლენტი.

1930 წ. თებერვლს 21.

ტფილისი—სასახლე.

## ცენტრალური აღმასრულებელი კომისიის დადგენილებანი

66. *B C B G G G G G G G G*.

„სკოლის ასაკამდე აღზრდის ლაშქრობის ცენტრალური შტაბის“ სამდღიურის ჩატარების შესახებ.

„სკოლის ასაკმდე აღზრდის ლაშქრობის ცენტრალური შტაბის“ მატერიალური სახსარის გაძლიერებისა და მისი იღებისა და მიზნების პოპულარიზაციისათვის სრულიად საჭაროა. (კენტრ. აღმასრულებლი ქომიტეტი აღნენს:

1. ნება დაერთოს ტფილისის ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის სახალხო განათლების განყოფილებას მთაწყოს ზემოხსნებული ორგანიზაციის მატერიალური სახსრის გაძლიერების მიზნით ქ. ტფილისში სამდლიური 1930 წ. მარტის 8-10 ამ დაღვენილების ქვემოაღნიშნულ მუხლებში გათვალისწინებულ საოთვეოებისგან.

2. აღნიშნული ვადის (მარტის 8-10) განმავლობაში ნება დაერთოს:

5) შეაგროვოს ყულაბეგით წებაყოფლობით გამოსაღები ყველგან ქუჩებში, საჯარო ადგილებში და სახელმწიფო დაწესებულებების სადგომებში;

ბ) გამართოს ფასიანი კონცერტები და წარმოდგენები;

გ) გამართოს საჯარო ლექციები, საუბრები და მოსხენებები ორგანიზაციის მიზნების შესაფერ თემებზე, რისთვისაც შეუძლიან გამოიყენოს საზოგადოებრივი აუდიტორიები და კინო-თეატრის სადგომები, აგრეთვე რადიოგადაცემა.

3. შემოღებულ იქნეს სამდლიურის განავლობაში დაბევგრძეს სახით აღნიშვნული ორგანიზაციის სასარგებლოდ სპეციალური გამოსატები ყველა გასართობ საანახობაში (თეატრი, კინო, კონცერტი, ცირკი, საბილიარდო) შემსვლელებზე, ბილეთის ღირებულების  $10\%$  რაოდენობით.

**შენიშვნა.** ამ მუხლში აღნიშვნული გამოსალები გადახდევინებულ იქნეს იმ გამოსალების გარეშე, რაც სააშისოდ დაწესებულია საკავშირო კანონმდებლობის წესით.

4. ამ დადგენილებაში აღნიშნულ ლონისძიებათ განახორციელებს ტფილი სის აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილება ამ მიზნისათვის მოწყობილი სამდლიურის ჩამტარებელი განსაკუთრებული კომიტეტის მეშვეობით.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმა-

სრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია. /

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმა-

სრულებელი კომიტეტის მდივნის მოვ. აღმ. თ. ულენტი.

1930 წ. ოქტომბერის 28.

ტფილისი—სასახლე.

## სახალხო პომისართა საგჭოს დადგენილებანი

### 67. დ ა დ გ ი ნ ი ლ ე ბ ა ს. ქ. ს.

ნატახტარის წყალსადენის მშენებელი კომიტეტის დებულების მე-15 და 25 მუხლების შეცვლის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ნატახტარის წყალსადენის მშენებელი კომიტეტის დებულების (საქ. სსრ ქან. კრ. 1929 წ. მე-11 №-ი. მუხ. 91) მე-15 და 25 მუხლები შეიცვალოს და მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 15. სამუშაოთა სამმართველოს სათავეში სდგას სამუშაოთა უფროსი, იგივე მთავარი ინჟინერი“.

„მუხ. 25. კომიტეტი მთლიანად და მისი წევრები ცალქმულად, აგრეთვე სამუშაოთა უფროსი, მისი მოადგილე, მთავარი ბუხვალტერი, მისი მოადგილე და სალიკვიდაციის კომისიის წევრები ტფილისის საბჭოსათვის და ტფილისის საოლქო აღმასრულებელი კომიტეტისათვის მიყენებული ზარალის გამო პასუხს ავებენ კანონით დადგენილი წესისამებრ“.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს

თავმჯდომარის მოადგილე გ. მგალობლიშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს

საქმეთა მმართველის მაგ. ა. ანთაძე.

1930 წ. ოქტომბერის 26.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გან. „კომუნისტის“ მე-65 №-ში 1930 წ. მარტის 22.

### 68. დადგენილება ს. ქ. ს.

კინო-თეატრების სადგომების ხაიჯარო ხასყიდლის რაოდენობის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამყარებულ იქნეს ქვემომდევნი წესი კინო-თეატრების სადგომებისა-თვის ხაიჯარო ხასყიდლის გადახდევინებისა.

2. ხაიჯარო ხასყიდლი განახობაზე გამჭირავებელ და იჯარით ამლებ დაწესებულებათა შეთანხმებით შენობის კაბიტალური რემონტის ლირებულებისა, ამორტიზაციისა და ხამშენებლო კაბიტალის პროცენტების ფარგლებში, ხოლო ხაიჯარო ხასყიდლის ხაერთო თანხა არ უნდა იღებატებოდეს საამშენებლო ლი-რებულების 11 პროცენტს წელიწადში ქვიტკირის შენობისათვის და 14 პროცენტს ხის შენობისათვის.

3. მიმღინარე რემონტი შეკადგენს მოიჯარადრის მოვალეობას, ხოლო კაპიტალური რემონტი გამჭირავებლის მოვალეობას.

4. უკეთე სიჯარო შენობა მთლად კინო-თეატრისათვის შენდება, საიჯარო სასყიდლის ნაწილს, რაც შენობის ამორტიზაციას შესაბამება, საერთო ფარგლებში—სამშენებლო ლირებულების 3 პროცენტამდე ქვიტირის შენობისათვის და 5 პროცენტამდე ხის შენობისათვის, საიჯარო სასყიდლის გადამხდევინებლი დაწესებულება გადარიცხავს კინოფიქაციის რესპუბლიკანურ ფონდში კინო-თეატრების მშენებლობისათვის გამოსაყენებლად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარის მოადგ. გ. მგალობლიშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს

საქმეთა მმართველის მაგ. ა. ანთაძე.

1930 წ. იანვრის 26.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გან. „კომუნისტის“ 52 №-ში 1930 წ. მარტის 5.

### 69. დადგენილება ს. კ. ს.

„1930 წლის გაზაფხულზე მოსალოდნელ წყალდიდობასთან და მის შედეგებთან ბრძოლის ღონისძიებათა თაობაზე“ გამოცემული საქართველოს სსრ ხალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. დეკემბრის 31-ის დადგენილების 1-ლი მუხლის შეცვლის შესახებ.

საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭო აღენს:

I. „1930 წლის გაზაფხულზე მოსალოდნელ წყალდიდობასთან და მის შედეგებთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემული საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. დეკემბრის 31-ის დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-2 №-ი, მუხ. 29) 1-ლი მუხლი შეცვალოს და მიღებულ იქნება შემდეგი ჩადაცემით:

„მუხლ. I. 1930 წლის გაზაფხულზე მოსალოდნელ წყალდიდობასთან და მის შედეგებთან საბრძოლველად მოწყობოს საგანგებო სამეული სახელმწიფო პოლიტიკური სამართველოს თავმჯდომარის ამ. ლ. ბერიას (თავმჯდომარე), მიწითმოქმედების სახალხო კომისარის ამ. ს. ჯულელისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსის ამ. ვ. გოგიას შედეგობრივით.

II. ამ დადგენილების 1-ლი მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ ხალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. დეკემბრის 31-ის დადგენილების ყველა შემდგომ მუხლში „საგანგებო კომისიის“ სახელწოდება შეიცვალოს სახელწოდებით „საგანგებო სამეული“.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს

თავმჯდომარე ც. მახარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს

საქმეთა მმართველის მაგ. ა. ანთაძე.

1930 წ. ოქტომბრის 11.

ტფილისი—სასახლე.

საქართველოს სახელმისამართის სტამბა

მთავრ. № 834.

ტირაჟი 1 200